თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 01/663

" 20 " 03 2012

ქ. თბილისში (სექტორი – საბურთალო), ვახუშტის სახელობის ხიდიდან სააკაძის მოედნისაკენ მიმავალ გზაზე (ნაკვეთი №16/77)/ქ. თბილისი, ვახუშტის სახელობის ხიდიდან სააკაძის მოედნისაკენ მიმავალ გზაზე (ნაკვეთი №16/78), შპს "კრონა"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №016/116) მშენებარე საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ.

დამკვეთი – შპს "კრონა" (საიდენტიფიკაციო კოდი: 205281014)
საპროექტო ორგანიზაცია – შპს „მაქსი სტუდიო" (საიდენტიფიკაციო კოდი: 204556211)
ავტორი – მ. ბუჯიაშვილი.

საფუძველი: - განცხადება №12/37652-13 15.03.2012წ. 19.03.2012წ.
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (სარეგისტრაციო №882012097481 09.03.12წ.; საკ.№01/10/13/016/116;)
- სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები №407 27.05.2009წ.
- ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 26 თებერვლის №01/416 ბრძანება და №6/446-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
- ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 08 ივლისის №01/1452 ბრძანება.
- ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 30 ნოემბრის №01/2736 ბრძანება და №6/2975-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
- ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 12 აგვისტოს №01/2404 ბრძანება და №6/2527-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
- ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 20 მარტის №736 ბრძანება №407 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 05 დეკემბრის №დ1455-11 დადგენილება №001426 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე და შესაბამისი დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

შენობის კლასი IV (რისკის მაღალი ფაქტორი)

1. ტერიტორიის ფართობი: ---------- 608.00 მ²
2. მოშენების ფართობი: ---------- 300.90 მ²
3. საერთო ფართობი: ---------- 3 113.40 მ²
   მათ შორის:
   - სარდაფის ფართობი: ---------- 281.60 მ²
   - მიწისქვეშა ავტოსადგომების ფართობი: ---------- 500.90 მ²
   - კომერციული (სავაჭრო) ფართობი: ---------- 194.00 მ²

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ.(+995 32) 272 22 22 ფაქს. (+995 32) 237 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

- საოფისე ფართობი: ---------- 1 323.10 მ^2
- რესტორნის ფართობი: ---------- 252.00 მ^2
- საზაფხულო ფართობი: ---------- 371.00 მ^2
- დამხმარე (კიბის უჯრედები, ლიფტის შახტა) ფართობი: ------ 190.80 მ^2

4. სამშენებლო მოცულობა: ---------- 8 600.00 მ^3
   მათ შორის:
   ± 0.00 ნიშნულს ქვევით: ---------- 2 600.00 მ^3
   ± 0.00 ნიშნულს ზევით: ---------- 6 000.00 მ^3

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეთანხმდეს ქ. თბილისში (სექტორი – საბურთალო), ვახუშტის სახელობის ხიდიდან სააკაძის მოედნისაკენ მიმავალ გზაზე (ნაკვეთი №16/77)/ქ. თბილისი, ვახუშტის სახელობის ხიდიდან სააკაძის მოედნისაკენ მიმავალ გზაზე (ნაკვეთი №16/78), შპს “კრონა”-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №016/116) მშენებარე საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
2. გაიცეს მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 21 მარტიდან 2012 წლის 21 ივლისის ჩათვლით.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 12 აგვისტოს №01/2404 ბრძანებით შეთახმებულ დოკუმენტაციასთან ერთად.
5. განემარტოს დამკვეთს, რომ ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლარი და პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი შემდეგი დოკუმენტაცია:
   5.1 სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;
   5.2 საჭიროების შემთხვევაში შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად;
   5.3 კონსტრუქციული პროექტი, რომელიც შედგება შენობა-ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დეტალური პროექტისაგან, მათ შორის, ფუძე-საძირკვლისაგან.
   5.4 სავალდებულო საექსპერტო შეფასება შეთანხმებული პროექტის დარღვევით ნაწარმოებ მშენებლობაზე საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების 63-ე მუხლის შესაბამისად.
   5.5 სავალდებულო საექსპერტო შეფასებების განხორციელება საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად;
   5.6 მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ამ დადგენილების 61-ე მუხლის შესაბამისად.
6. განემარტოთ დაინტერესებულ პირებს, რომ წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: ქ. თბილისი, 0160, ჯ. შარტავას ქ. №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მშენებლობის ეტაპები: 1. სამშენებლო სამუშაოების დასრულება, ტერიტორიის კეთილმოწყობა, დასუფთავება.

თბილისის არქიტექტურა

——— № ———

——— № ———

მშენებლობის სანებართვო მოწმობა №6/673-1

ნებართვის გაცემის თარიღი „20“ 03 2012 წ.

მშენებლობის დაწყების თარიღი „21“ მარტი 2012 წ.

ნებართვა ძალაშია „21“ ივლისი 2012 წ.

დამკვეთი შპს "კრონა" (საიდენტიფიკაციო კოდი: 205281014)

(დასახელება)

მშენებლობის ობიექტი მშენებარე საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა

(დასახელება, ფუნქციური დანიშნულება)

ქ. თბილისი (სექტორი – საბურთალო), ვახუშტის სახელობის ხიდიდან სააკაძის მოედნისაკენ მიმავალ გზაზე (ნაკვეთი №16/77)/ქ. თბილისი, ვახუშტის სახელობის ხიდიდან სააკაძის მოედნისაკენ მიმავალ გზაზე (ნაკვეთი №16/78).

(მისამართი / ადგილმდებარეობა)

№01/10/13/016/116;

(მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნომერი)

პროექტი შეთანხმებულია ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ (ჯ. შარტავას ქ. №7)

(შემთანხმებელი ორგანიზაციის დასახელება, მისამართი)

ნებართვა გაიცა ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ (ჯ. შარტავას ქ. №7)

(ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, მისამართი)

ბრძანება №01/663, 20.03. 2012წ.

ნებართვაზე ხელმომწერი პირი: კ. ნიაური

(სახელი, გვარი)

III და IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების უფროსი

(თანამდებობა)

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჯ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22 ფაქს. (+995 32) 237 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.
- დამკვეთი ვალდებულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან/და თანამდებობის პირის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გაცნობა.
- დამკვეთი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სანებართვო პირობები:
  - აწარმოოს მშენებლობა მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;
  - აწარმოოს მშენებლობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის მოთხოვნების დარღვევის გარეშე;
  - **აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტის დარღვევის გარეშე;**
  - **აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით;**
  - სამშენებლო დოკუმენტით გათვალისწინებული მშენებლობის ყოველი ეტაპის დასრულების შემდეგ, შეადგინოს მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ ოქმი სამშენებლო მოედანზე წარმოებული სამუშაოების დათვალიერებისა და სანებართვო პირობებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე;
    მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ ოქმს ხელს აწერენ დამკვეთი და მენარდე ან/და მათი საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი.
    შედგენილი ოქმი სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით უნდა წარედგინოს შენობა-ნაგებობის ვარგისად აღიარებაზე უფლებამოსილ შესაბამის ორგანოს და მხოლოდ ამ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ წარმოადგენს იგი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს.
    მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმის შედგენის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება ოქმის შემდგენელს.
    ოქმის შეუდგენლობა ან ოქმში არასწორი მონაცემების შეტანა გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.
  - უზრუნველყოს ძირითადი კონსტრუქციული სისტემის, ინტერიერის საერთო ან/და საზოგადოებრივი სარგებლობის ნაწილების, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების, ექსტერიერისა და მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების დასრულება;
  - მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლიდან 6 თვის ვადაში შენობა-ნაგებობა წარადგინოს უფლებამოსილ ორგანოში ვარგისად აღიარებისათვის.
- სანებართვო პირობების მოთხოვნების დარღვევისას ნებართვის მფლობელს დაეკისრება „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
- დამკვეთი ვალდებულია, მიწის ნაკვეთის ფარგლებს გარეთ ჩასატარებელი სამუშაოები შეათანხმოს ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურთან და ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთან.
- საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და განახლდეს სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, თუ ეს არსებითად ცვლის დაფაზე განთავსებულ ინფორმაციას.
- მშენებლობის დამთავრების შემდეგ, ობიექტი ვარგისად იქნას აღიარებული (მიღებული ექსპლუატაციაში) კანონით დადგენილი წესით.

III და IV კლასის შენობა-ნაგებობების
სანებართვო განყოფილების უფროსი – /კ. ნიაური/

ანა

თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 736

" 20 " 03 2012

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 27 მაისის №407 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 16 მარტს №12/37652-13 განცხადებით მომართა მოქ. მიხეილ მეთოფიშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, ვახუშტის სახელობის ხიდიდან სააკაძის მოედნისკენ მიმავალ გზაზე (ნაკვეთი №016/077) მდებარე სამშენებლო ობიექტზე საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისში, ვახუშტის სახელობის ხიდიდან სააკაძის მოედნისკენ მიმავალ გზაზე (ნაკვეთი №016/077) საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის ასაშენებლად 2010 წლის 27 მაისს გაცემული იქნა №407 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემული იქნა 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით: 01.10.13.016.077. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონა ზემოაღნიშნული პრობების გაცემის დროს იყო საზოგადოებრივ – საქმიანი ზონა 3 (სსზ-3). ხოლო, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი და დღეის მდგომარეობით 600 კვ.მ.-ის ნაცვლად შეადგენს 608 კვ.მ.-ს, საკადასტრო კოდით: 01.10.13.016.116. ამასთან, შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონა და საზოგადოებრივ – საქმიანი ზონა 3–ის (სსზ-3) ნაცვლად აღნიშნული მიწის ნაკვეთის ძირითად ნაწილზე ვრცელდება საზოგადოებრივ – საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) შემდეგი პარამეტრებით: კ1=0,7; კ2=4,6 და კ3=0,1, რომელშიც ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების თანახმად შესაძლებელია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის მშენებლობა. ხოლო, მიწის ნაკვეთის დანარჩენ ნაწილზე ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), რომელშიც ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება დაუშვებელია.

ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტისა და მასზე გაცემული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ნაწარმოებია შესაბამისი სამშენებლო სამუშაოები. საპროექტო დოკუმენტაციაში დამკვეთად დაფიქსირებულია საპროექტო მიწის ნაკვეთის ამჟამინდელი მესაკუთრე შპს "კრონა" რომლის დამფუძნებელ პარტნიორს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით წარმოადგენს მოქ. ვლადიმერ კუტალია. აღნიშნულს ადასტურებს მეწარმეთა და არასამეწარმეო

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 72 22 22 ფაქს. (+995 32) 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

(არაკომერციული) იურდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი და საჯარო რეესტრის ამონაწერი (ამონაწერის რეგისტრაციის №882012097481; მომზადების თარიღი: 09.03.2012წ.; საკადასტრო კოდი: 01.10.13.016.116), რომელშიც საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძვლად მითითებულია შპს "კრონა"-სათვის მიწის ნაკვეთის გადაცემისა და კაპიტალში შეტანის შესახებ 20.10.09წ. გაფორმებული ხელშეკრულება .

სამსახურმა საკითხის უკეთესად გარკვევისა და მოთხოვნის დაზუსტების მიზნით მიიღო გადაწყვეტილება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების შესახებ, რომელიც გაიმართა 2012 წლის 19 მარტს (ოქმი №ო-121). სხდომაზე გამოცხადდა შპს "კრონა"-ს წარმომადგენელი ირაკლი ყანდაშვილი (მინდობილობა №120258347) და განაცხადა, რომ ვინაიდან, ზემოაღნიშნულ საპროექტო მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციის საფუძველზე უკვე ნაწარმოებია სამშენებლო სამუშაოები, კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების მიზნით, საჭიროა მიწის ნაკვეთის ფართობისა და ფუნქციური ზონის ცვლილების გამო №407 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში შევიდეს ცვლილება.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და ვინაიდან, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ნაწარმოებია სამშენებლო სამუშაოები და დღეის მდგომარეობით შეცვლილია სამშენებლო მიწის ნაკვეთის პარამეტრები, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შეიტანოს ცვლილება, კერძოდ: დაფიქსირდეს შეცვლილი ფართობი 608 კვ.მ. საკადასტრო კოდით: 01.10.13.016.116. და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციურ ზონად მიეთითოს საზოგადოებრივ – საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) შესაბამისი კოეფიციენტებით და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

ზემოაღანიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 27 მაისის №407 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: ა) საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართად დაფიქსირდეს 608 კვ.მ. და საკადასტრო კოდად მიეთითოს №01.10.13.016.116. ბ) საპროექტო მიწის ნაკვეთის ნაწილზე ფუნქციურ ზონად მიეთითოს საზოგადოებრივ –

საცხოვრებელი ზონა 2 (სსზ-2) და კოეფიციენტები განისაზღვროს შემდეგი სახით: კ1=0,7; კ2=4,6 და კ3=0,1.;

2. სამშენებლო სამუშაოების განხორციელების დროს დაცული იქნას საპროექტო მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო საზღვრიდან 2 მეტრის მანძილზე, ფუნქციურ ზონებს შორის გავლებული გამყოფი ხაზი;
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტრის სამსახურის 2010 წლის 27 მაისის №407 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტერიდან და საკადასტრო გეგმა (ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის №882012097481; მომზადების თარიღი: 09.03.2012წ.; საკადასტრო კოდი: 01.10.13.016.116);
4. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 27 მაისის №407 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სამსახურის უფროსი **არისი ბოჭოიძე**